„დამტკიცებულია"
საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის
რექტორი, პროფესორი

______________ ს. ტეფნაძე
08 ______________ 2019
დადგენილება № 08/05

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი

ბიზნესუწყვეტობის პოლიტიკა

ძირითადი ასლი

1 სარჩევი

1 სარჩევი 2
i. ცვლილებები 3
ii. ცვლილებების ისტორია 4
iii. მოქმედი გვერდების სია 5
2 დოკუმენტაციის კონტროლი 6
2.1 დოკუმენტების დასაგზავნი სია 6
3 ძირითადი ნაწილი 7
მუხლი 1. შესავალი 7
მუხლი 2. მიზანი 8
მუხლი 3. მოქმედების სფერო 8
მუხლი 4. ფუნქციები და პასუხისმგებლობები 9
მუხლი 5. რისკების იდენტიფიცირება და შეფასება 9
მუხლი 6. სწავლების, კვლევისა და სხვა ძირითადი პროცესების დროებითი შეჩერება (საქმიანობის მასშტაბის შემცირება) 10
მუხლი 7. საქმიანობის ნორმალურ რეჟიმში დაბრუნება 10
მუხლი 8. ბიზნესუწყვეტობის სისტემის შიდა სწავლება 11

i. ცვლილებები

ცვლილების შეტანა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და რექტორის მონაწილეობით. შეცვლილი წესი დასამტკიცებლად წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს. დაუშვებელია ცვლილების განხორციელება ზემოაღნიშნული პროცედურის დარღვევით.

შედგენილია:	დამტკიცებულია:
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	რექტორი
თარიღი:	თარიღი:

ამოღებული გვერდი				**დამატებული გვერდი**			
თავი	**გვერდი**	**ცვლილება**	**თარიღი**	**თავი**	**გვერდი**	**ცვლილება**	**თარიღი**

ii. ცვლილებების ისტორია

ცვლილების №	ცვლილების საფუძველი	შეცვლილი გვერდები	თარიღი	ცვლილების ინიციატორი

iii. მოქმედი გვერდების სია

თავი	**გვერდი**	**ცვლილება**	**თარიღი**		**თავი**	**გვერდი**	**ცვლილება**	**თარიღი**
0	1	0	ივლისი 2019					
1	2	0	ივლისი 2019					
i	3	0	ივლისი 2019					
ii	4	0	ივლისი 2019					
iii	5	0	ივლისი 2019					
2	6	0	ივლისი 2019					
3	7	0	ივლისი 2019					
3	8	0	ივლისი 2019					
3	9	0	ივლისი 2019					
3	10	0	ივლისი 2019					
3	11	0	ივლისი 2019					

2 დოკუმენტაციის კონტროლი

დოკუმენტაციის კონტროლი ხორციელდება ხარისხის სახელმძღვანელოში გაწერილი წესებისა და პროცედურების მიხედვით. ამ წესებისა და პროცედურების მიზანია შეიქმნას სისტემა, რომელიც თანამშრომლებს მისცემს დოკუმენტების ადვილად ამოცნობისა და გამოყენების საშუალებას ორგანიზაციაში. ყველა კონტროლირებადი დოკუმენტი უნდა შეიქმნას და შეინახოს იმ ფორმატითა და წესებით, რომელიც გაწერილია ხარისხის სახელმძღვანელოში. ეს შექმნის პროცედურების სისტემას, რომელშიც დოკუმენტების შექმნა, განახლება და გავრცელება მოხდება ადვილად.

2.1 დოკუმენტების დასაგზავნი სია

ორგანიზაცია	ფორმატი	ასლის ნომერი
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	ბეჭდური	ძირითადი ასლი
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	ელექტრონული	ელექტრონული ვერსია
უნივერსიტეტის ვებ-გვერდი	ელექტრონული	ელექტრონული ვერსია
საფრენოსნო მომზადების ფაკულტეტი	ელექტრონული	ელექტრონული ვერსია
საინჟინრო ფაკულტეტი	ელექტრონული	ელექტრონული ვერსია
ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი	ელექტრონული	ელექტრონული ვერსია

3 ძირითადი ნაწილი

მუხლი 1. შესავალი

1. ბიზნესუწყვეტობის მართვა არის პროცესი, რომელიც მოიცავს:
   1.1. უნივერსიტეტის საქმიანობისთვის საფრთხის შემცველი გარემოებების გამოვლენას;
   1.2. ამ გარემოებების გავლენის შეფასებას უნივერსიტეტის საქმიანობასა და მისი სტრატეგიული მიზნების მიღწევაზე;
   1.3. მათი ხდომილების შემთხვევაში, უარყოფითი გავლენების შემამცირებელი/შესასუსტებელი ღონისძიებების დასახვას და საქმიანობის უწყვეტად განხორციელების სქემას;
   1.4. საქმიანობის ნორმალურ პირობებში დაბრუნების სქემას.

2. საგანგებო ვითარებაში მოქმედების გეგმის მთავარი მიზანია ადამიანების უსაფრთხოებისა უნივერსიტეტის საკუთრებისა და აქტივების დაცვა და ძირითადი საქმიანობის განხორციელების შეძლებისდაგვარად შეუფერხებლად განხორციელების უზრუნველყოფა. ბიზნესუწყვეტობის სტრატეგია უზრუნველყოფს საგანგებო ვითარებაში, შესაძლებლობის ფარგლებში, საქმიანობის ძირითადი პროცესების განხორციელებისთვის საჭირო ღონისძიებების დასახვას. საქმიანობის ნორმალურ რეჟიმში დაბრუნების სქემა განსაზღვრავს იმ აუცილებელ ღონისძიებებს, რომლებიც საჭიროა უნივერსიტეტის საქმიანობის ჩვეული რეჟიმის აღსადგენად, შეძლებისდაგვარად მოკლე ვადებში.

მუხლი 2. მიზანი

1. წინამდებარე სახელმძღვანელოს მიზანია, საავიაციო უნივერსიტეტის ბიზნესუწყვეტობის სქემის ფორმულირება და საგანგებო ვითარებაში მოქმედების ინსტრუქციების შემუშავების, განახლებისა და პრაქტიკული სწავლებების პროცედურების აღწერა.
2. პოლიტიკა აღწერს იმ ძირითად პრინციპებს და სისტემას, რაც აუცილებელია საგანგებო ვითარებაში მოქმედების, საქმიანობის შეძლებისდაგვარად უწყვეტ რეჟიმში განხორციელებისა და ნორმალურ რეჟიმში დაბრუნებისათვის.
3. პოლიტიკის მიზანია, ისეთი გარემოებების/რისკების იდენტიფიცირება და კონტროლისთვის საჭირო მექანიზმების დადგენა, რომელიც საფრთხეს უქმნის:
   3.1. ადამიანების სიცოცხლეს და ჯანმრთელობას;
   3.2. უნივერსიტეტის შენობა-ნაგებობებს, აქტივებსა და ინფრასტრუქტურას;
   3.3. დაინტერესებული პირების ინტერესებს;
   3.4. გარემოს;
   3.5. სწავლების, კვლევისა და კომერციული საქმიანობის უწყვეტობას;
   3.6. უნივერსიტეტის რეპუტაციასა და „სავაჭრო ნიშანს“.

მუხლი 3. მოქმედების სფერო

1. პოლიტიკა ვრცელდება უნივერსიტეტის მთელ პერსონალზე, მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე და დამხმარე სისტემებზე, საქმიანობის განხორციელების ყველა ადგილმდებარეობაზე.
2. უნივერსიტეტის საქმიანობის შეწყვეტა შეიძლება გამოიწვიოს ბევრმა სხვადასხვა გარემოებამ. წინამდებარე პროცედურა და პოლიტიკა იძლევა ზოგად ინსტრუქტაჟს, თუ როგორ უნდა წარიმართოს საგანგებო ვითარებაში მოქმედება, საქმიანობის უწყვეტობა და საქმიანობის ნორმალურ რეჟიმში დაბრუნება ისე, რომ შემაფერხებელმა გარემოებებმა მინიმალური უარყოფითი ზეგავლენა მოახდინონ უნივერსიტეტზე.
3. საქმიანობის შემაფერხებელი გარემოებები იყოფა ორ კატეგორიად.
4. 1-ლ კატეგორიას განეკუთვნება სერიოზული ინციდენტები და საავიაციო შემთხვევები, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ადამიანების სიცოცხლეს, გარემოს, უნივერსიტეტის შენობა-ნაგებობებს, აქტივებსა და ინფრასტრუქტურას:
   4.1. საჰაერო ხომალდისა და/ან აეროდრომის ექსპლუატაციასთან დაკავშირებული სერიოზული ინციდენტები/საავიაციო შემთხვევები;
   4.2. სახიფათო ნივთიერებებთან დაკავშირებული ინციდენტები;
   4.3. ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა და სხვა სტიქიური უბედურებები.
5. მე-2 კატეგორიას განეკუთვნება ისეთი გარემოებები, რომლებიც საფრთხეს უქმნიან სწავლების, კვლევისა და კომერციული საქმიანობის უწყვეტობას:
   5.1. ფინანსური რისკი;
   5.2. კომუნიკაციების გათიშვა (ელექტროენერგია, IT, სატელეფონო სისტემები);
   5.3. აკადემიური და დამხმარე პერსონალის მიერ მასობრივი გაცდენა (ეპიდემიის, სატრანსპორტო კოლაფსის, გაფიცვის ან სამსახურიდან მასობრივი წასვლის მიზეზით) და სხვა.
6. პირველი კატეგორიის გარემოებებისთვის უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს საგანგებო ვითარებაში მოქმედების გეგმები (საჰაერო ხომალდის ან აეროდრომის ექსპლუატაციასთან

დაკავშირებული ინციდენტების/საავიაციო შემთხვევების დროს საგანგებო ვითარებაში მოქმედების გეგმა, სახიფათო ნივთიერებებთან დაკავშირებული ინციდენტების დროს მოქმედების გეგმა, შენობის ევაკუაციის გეგმა და სხვა).

7. მეორე კატეგორიის გარემოებების დადგომის შემთხვევაში უნივერსიტეტი მოქმედებს კონკრეტული ინციდენტისთვის შემუშავებული ბიზნესუწყვეტობის გეგმის შესაბამისად. თუმცა, გარემოების ხასიათიდან გამომდინარე, შესაძლოა საჭირო გახდეს საგანგებო ვითარებაში მოქმედების გეგმის ამოქმედებაც.

8. უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული გეგმები (ბიზნესუწყვეტობის და საგანგებო სიტუაციაში მოქმედების) ინახება როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული სახით. (როგორც შესაბამის სამსახურებთან ასევე „დრაივზე“). ვერსიების კონტროლს ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

9. ბიზნესუწყვეტობის გეგმის შემუშავება დინამიკური, განმეორებადი და რთული პროცესია, რომელიც საჭიროებს მუდმივ განვითარებას და ადაპტაციას, ცვალებადი გარემოსა და ახალი რისკების წარმოქმნის პარალელურად.

მუხლი 4. ფუნქციები და პასუხისმგებლობები

1. საქმიანობის უწყვეტობის მართვა მჭიდროდ არის დაკავშირებული უსაფრთხოების მართვის სისტემასა და საგანგებო ვითარებაში მოქმედების დაგეგმვასთან, რის გამოც ამ კონტექსტში საჭირო ფუნქციები და პასუხისმგებლობები დეტალურად არის გაწერილი უნივერსიტეტის უსაფრთხოების მართვის სისტემის სახელმძღვანელოსა (SMS Manual SSU/01/03) საგანგებო ვითარებაში მოქმედების გეგმებში (SSU/01/05) და დაცვის სამსახურის დებულებაში (SSU/01/17).

2. ბიზნესუწყვეტობისა და საგანგებო ვითარებაში მოქმედების გეგმები არ წარმოადგენს მხოლოდ უნივერსიტეტის მენეჯმენტის პასუხისმგებლობას. უნივერსიტეტის პერსონალი, რომელსაც გააჩნია მართვისა და ზედამხედველობის ფუნქციები, აქტიურად მონაწილეობს ამ პროცესებში, დადგენილი პროცედურების შესაბამისად.

3. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი უზრუნველყოფს ბიზნესუწყვეტობის გეგმების გადახედვას, არანაკლებ ორწლიანი ინტერვალით. ბიზნესუწყვეტობის გეგმა შესაძლოა განახლდეს არაგეგმიურად, უნივერსიტეტში ახალი სისტემის ან საქმიანობის ახალი მიმართულების დანერგვის შემთხვევაში.

4. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ასევე უზრუნველყოფს საგანგებო ვითარებაში მოქმედების გეგმაში ჩართული პირებისთვის შიდა სწავლებებისა და პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარებას რეგულარული ინტერვალებით. (განსაზღვრულია საგანგებო ვითარებაში მოქმედების გეგმა-ში).

მუხლი 5. რისკების იდენტიფიცირება და შეფასება

1. საფრთხეების გამოვლენის, რისკების შეფასებისა და რისკის შედეგების მართვის მეთოდოლოგიის დეტალური აღწერილობა მოცემულია უნივერსიტეტის უსაფრთხოების მართვის სახელმძღვანელოში (SMS Manual). ის რისკები, რომლებიც საფრთხეს უქმნის ფრენის უსაფრთხოებას, აღნუსხულია უნივერსიტეტის „საფრთხეების რეესტრში“ (Hazard Log).

2. შიდა და გარე საფრთხეების ჩამონათვალი, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს საქმიანობის შეფერხება, მათთან დაკავშირებული რისკები და რისკების მართვის ღონისძიებები, მოცემულია ამ სახელმძღვანელოს დანართში.

მუხლი 6. სწავლების, კვლევისა და სხვა ძირითადი პროცესების დროებითი შეჩერება (საქმიანობის მასშტაბის შემცირება)

1. იმ შემთხვევების გარდა, როცა პერსონალის ნაკლებობის ან სხვა ადგილობრივი ფაქტორების გამო (როგორიცაა მაგალითად სატრანსპორტო სისტემის კოლაფსი, სტიქიური უბედურება და სხვა) საქმიანობის უწყვეტ რეჟიმში გაგრძელება შეუძლებელია, უნივერსიტეტი ეცდება წარმართოს თავისი ძირითადი პროცესები შეუფერხებლად.
2. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უსაფრთხოების მენეჯერთან კოორდინაციით გააანალიზებს გარემოების საქმიანობაზე გავლენის დონეს და განსაზღვრავს პარამეტრებსა და მაპროვოცირებელ გარემოებებს, როცა საჭიროა სწავლების, კვლევისა და სხვა ძირითადი პროცესების სრული ან ნაწილობრივი შეჩერება. (დანართი) ქვემოთ მოცემულია საქმიანობაზე გავლენის ანალიზის პროცესის დეტალური აღწერილობა:
   - 2.1. ფაკულტეტების მიხედვით უნივერსიტეტის ძირითადი საქმიანობების და მათი განხორციელებისათვის საჭირო ძირითადი რესურსების იდენტიფიცირება;
   - 2.2. ერთ-ერთი ან რამდენიმე ძირითადი რესურსის არარსებობის/ნაკლებობის გავლენის შეფასება საქმიანობაზე;
   - 2.3. ასეთი გარემოების ხდომილების ალბათობა და მისი გავლენის სერიოზულობა ძირითად საქმიანობაზე.
3. ამ კრიტერიუმების გაანალიზების საფუძველზე დგინდება სწავლების, კვლევისა და სხვა ძირითადი საქმიანობის ნაწილობრივი ან სრული შეჩერების საჭიროება. ეს საჭიროება შეიძლება გამოიწვიოს:
   - 3.1. პერსონალის ნაკლებობამ;
   - 3.2. ფინანსების ნაკლებობამ;
   - 3.3. შენობა-ნაგებობ(ებ)ის მწყობრიდან გამოსვლამ;
   - 3.4. კომუნიკაციების მწყობრიდან გამოსვლამ (ელექტროენერგია, ინტერნეტზე წვდომა, ა.შ.)
   - 3.5. ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დამაკმაყოფილებელი დონის უზრუნველყოფის შეუძლებლობამ და სხვა.
4. უნივერსიტეტი განსაზღვრავს, თუ რა ღონისძიებების გატარება იქნება საჭირო პროცესების უწყვეტობის შესანარჩუნებლად და საქმიანობის რა მასშტაბის შენარჩუნება იქნება შესაძლებელი, გარემოების უარყოფითი გავლენიდან გამომდინარე.

მუხლი 7. საქმიანობის ნორმალურ რეჟიმში დაბრუნება

1. საქმიანობის ნორმალურ რეჟიმში დაბრუნება წარმოადგენს ბიზნესუწყვეტობის დაგეგმვის პროცესის ნაწილს და მისი ამოქმედება ხდება საქმიანობის შეფერხებისთანავე.

2. ბიზნესუწყვეტობის გეგმა განსაზღვრავს საგანგებო ღონისძიებებს, რომელთა განხორციელება სავალდებულოა საქმიანობის შეფერხებისთანავე, რათა უნივერსიტეტმა შეძლოს ფუნქციონირების ჩვეულ რეჟიმში აღდგენა შეძლებისდაგვარად უმოკლეს ვადებში.
3. გეგმით განისაზღვრება ჯგუფის შემადგენლობა, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ნორმალურ რეჟიმში დასაბრუნებლად საჭირო რესურსების უზრუნველყოფასა და ღონისძიებების გატარებაზე.
4. საქმიანობის ნორმალურ რეჟიმში დაბრუნების განუყოფელი ნაწილია გატარებული ღონისძიებების ეფექტურობის შეფასება და მიღებული გამოცდილების დოკუმენტირება.

მუხლი 8. ბიზნესუწყვეტობის სისტემის შიდა სწავლება

1. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პასუხისმგებელია ბიზნესუწყვეტობის სისტემის გაცნობითი ხასიათის შიდა სწავლებების ორგანიზებაზე. დეტალური სწავლების გავლა სავალდებულოა ყველა იმ პირისთვის, რომლებიც უშუალოდ იქნებიან ჩართული ბიზნესუწყვეტობის დაგეგმვის, საგანგებო ვითარებაში მოქმედებისა და ნორმალურ რეჟიმში დაბრუნების ღონისძიებებში.
2. გაცნობითი ხასიათის ინფორმაცია მიეწოდება უნივერსიტეტის სტუდენტებსა და პერსონალს. 1-ლი კატეგორიის გარემოებებთან დაკავშირებით უნივერსიტეტი ახორციელებს პრაქტიკულ სწავლებებს/მეცადინეობებს, საგანგებო ვითარებაში მოქმედების გეგმაში აღწერილი პროცედურის შესაბამისად.